



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2042
18/12/2018

ქალაქი ბათუმი

2042-05-4-201812181225



სტიქიის შედეგად დაზარალებულ ათ ოჯახზე საცხოვრებელი ფართის ქირის თანხით უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე

მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი იქნა სტიქიის შედეგად დაზარალებული მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები დროებითი თავშესაფრისთვის ბინის ქირის თანხით უზრუნველყოფის თაობაზე. განცხადებები თანდართული მასალებით განხილული იქნა სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიის მიერ, კომისიის 2018 წლის 11 დეკემბრის №19 სხდომის ოქმით მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ სტიქიის შედეგად დაზარალებულ ათ ოჯახს საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში, თითოეულ ოჯახს გამოეყოთ ფინანსური დახმარება თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით, სულ 3000 (სამიათასი) ლარი კომისიის 2018 წლის 11 დეკემბრის №19 სხდომის ოქმის შესაბამისად.

ყოველივე ზემოთაღნიშნულთა გათვალისწინებით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიის თავჯდომარის ზვიად ხალვაშის 2018 წლის 11 დეკემბრის №3545-05 მოხსენებითი ბარათითა და ამავე მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიის 2018 წლის 11 დეკემბრის №19 სხდომის ოქმის თანახმად **ვბრძანებ:**

1. სტიქიის შედეგად დაზარალებულ ათ ოჯახს საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში გამოეყოთ ფინანსური დახმარება თითოეულ ოჯახს თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით სულ 3000 (სამიათასი) ლარი კომისიის 2018 წლის 11 დეკემბრის №19 სხდომის ოქმის შესაბამისად.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები თანხის გამოყოფის უზრუნველსაყოფად.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს მირზა ბახტაძეს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

